გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.15 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.16 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა, კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განიცემული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან

კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განთავსებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

საექვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას, კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს, რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიკურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია კომპანიის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა, მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ საექვო ვალების წარდგენილი მონაცემები წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 5).

მნიშვნელოვანი სასამართლო დავა კონტრაგენტთან. კომპანიას თავის კონტრაგენტთან აქვს მნიშვნელოვანი სადავო ურთიერთმოთხოვნები. ეს ურთიერთმოთხოვნები განიხილება პირველი ინსტანციით სხვადასხვა სასამართლოების მიერ. კონტრაგენტის მოთხოვნის მონეტარული სიდიდე აჭარბებს რამოდენიმე ასეულ ათას ლარს. კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის ამ პროცესიდან რაიმე სახის უარყოფით შედეგებს, შესაბამისად ანარიცხი ან რაიმე სახის აქტივის გაუფასურება არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა ნაგებობები	საკაბელო ქსელები	კავშირგაბმ ულობის და სხვა მოწყობილო ბეები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილ ობა	სატრანსპორ ტო საშუალებებ ი	დაუმთავრებ ლი მშენებლო ბა	სულ
ისტორიული ღირებულება/დასაშვები საწყისი ღირებულება							
31.12.2020	854	1,177	3,440	235	56	122	5,884
შეძენა	-	259	774	2	-	7	1,042
რეკლასი	81	-	-	-	-	(81)	-
გასვლა	-	-	(63)	-	-	-	(63)
31.12.2021	935	1,436	4,151	237	56	48	6,863
შეძენა	-	187	637	45	-	-	869
გასვლა	-	(2)	(63)	-	-	(5)	(70)
31.12.2022	935	1,621	4,725	282	56	43	7,662
ცვეთა							
31.12.2020	42	17	990	67	26	-	1,142
პერიოდის ცვეთა	14	17	485	39	8	-	563
გასული ძირითადი საშუალებებ ის ცვეთა	-	-	(16)	-	-	-	(16)
31.12.2021	56	34	1,459	106	34	-	1,689
პერიოდის ცვეთა	16	24	558	41	9	-	648
გასული ძირითადი საშუალებებ ის ცვეთა	-	-	(26)	-	-	-	(26)
31.12.2022	72	58	1,991	147	43	-	2,311
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31.12.2020	812	1,160	2,450	168	30	122	4,742
31.12.2021	879	1,402	2,692	131	22	48	5,174
31.12.2022	863	1,563	2,734	135	13	43	5,351

ახსნა-განმარტებით შენიშვნა (15.1)-ში მოცემული დავის ფარგლებში, კომპანიის ყადაღადადებული აქტივების საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია ქვევით:

	31.12.2022
მიწა და შენობა-ნაგებობები	863
საკაბელო ქსელები	1,563
სულ:	2,426

4. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2022	31.12.2021
სათადარიგო ნაწილები	707	759
საწვავი	5	5
სულ მარაგები	712	764

5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31.12.2022	31.12.2021
მისაღები სავაჭრო დებიტორები ძირითადი საქმიანობიდან	720	1,607
საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვი	(518)	(1,457)
გადახდილი ავანსები	240	70
ავანსების გაუფასურების რეზერვი	(39)	(31)
წინასწარ გადახდილი დივიდენდები	6	12
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	409	201

საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვის მოძრაობა	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	1,457	1,426
წლის ბოლოს რეზერვის დაკორექტირება დებიტორებზე	28	31
გამოყენება მიმდინარე პერიოდისთვის	(967)	-
31 დეკემბრის მიხედვით	518	1,457

საექვო გადახდილი ავანსების რეზერვის მოძრაობა	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	31	24
წლის ბოლოს რეზერვის დაკორექტირება	8	7
31 დეკემბრის მიხედვით	39	31

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	917	308
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3	6
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	920	314

7. ნასესხები საშუალებები

	31.12.2022	31.12.2021
მოკლევადიანი სესხები	501	-
სულ ნასესხები საშუალებები	501	-

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხი წარმოადგენს საბანკო სესხს ლარში, რომლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის - 14.94%. სესხი არის მოკლევადიანი, რომელიც უნდა დაიფაროს 2023 წლის 21 დეკემბერს. კომპანიის სესხი უზრუნველყოფილია თავდებობით. თავდებობა და სოლიდარული სრული პასუხისმგებლობა ნაკისრი აქვთ კომპანიის 87 წილის მფლობელ კომპანიას და სხვა დაკავშირებული მხარეს, რომლებიც, ამავდროულად, წარმოადგენენ კომპანიასთან საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ კომპანიებს.

სესხის ხელშეკრულების მიხედვით, ბანკმა დაუწესა კომპანიას გარკვეული ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, რომელთა მიმართებაშიც კომპანია შესაბამისობაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

8. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2022	31.12.2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	110	193
არარეზიდენტი მომწოდებლებისგან წარმოქმნილი ვალდებულებები	102	135
მიღებული ავანსები	617	562
დივიდენდის დავალიანება	547	12
გადასახდელი ხელფასები	6	3
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,382	905

9. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
შემოსავალი ინტერნეტის მომსახურებიდან	2,887	2,616
შემოსავალი სატელეფონო მომსახურებიდან	1,491	499
შემოსავალი სატელევიზიო მომსახურებიდან	396	1,197
შემოსავალი იჯაროდან	78	95
სხვა შემოსავლები	81	96
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	4,933	4,503

10. გაყიდვების თვითღირებულება

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
პირდაპირი ხელფასის დანახარჯები	1,087	936
სატელევიზიო არხების შესყიდვის დანახარჯები	673	846
ცვეთისა და ამორტიზაციის დანახარჯები	607	525
ინტერნეტის შესყიდვის დანახარჯები	514	434
კომუნალური დანახარჯები	219	217
იჯარები (არხები და ფართები) დანახარჯები	81	83
საწვავის დანახარჯები	84	62
რემონტის დანახარჯები	33	75
ურთიერთჩართვისთვის გაწეული ხარჯები	24	31
გაყიდული/შემენილი საქონლის დანახარჯები	12	28
WI-FI ქსელის მომსახურების დანახარჯები	-	48
სხვა თვითღირებულების ხარჯები	243	226
სულ გაყიდვების თვითღირებულება	3,577	3,511

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
ხელფასის ხარჯები	406	400
სხვა საგადასახადო ხარჯები	59	56
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	41	40
საექვო ვალების ხარჯები	38	52
ბანკის მომსახურება	38	43
რეგულირების საფასური	37	34
საკონსულტაციო ხარჯები	32	38
კომუნიკაციის ხარჯები	26	27
საოფისე და საკანცელარიო ხარჯები	25	23
კომუნალური ხარჯები	23	23
რემონტის ხარჯები	14	14
დაზღვევის ხარჯები	9	10
რეკლამის ხარჯები	5	7
იჯარის ხარჯები	4	4
სხვა საოპერაციო ხარჯები	41	36
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	798	807

12. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
ზარალი საკუროსო სხვაობიდან(ნეტო)	(42)	(20)
საპროცენტო ხარჯები	(1)	-
სულ ფინანსური ხარჯი (ნეტო)	(43)	(20)

13. ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
აქტივები		
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	202	150
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	920	314
სულ ფინანსური აქტივები	1,122	464
ვალდებულებები		
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	212	328
- მოკლევადიანი სესხები	501	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	713	328

14. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	დამფუძნებლები	მენეჯმენტი	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიები	სხვა დაკავშირებული მხარეები
ნაშთები:				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გროსი	-	-	-	10
შესაბამისი გაუფასურების რეზერვი	-	-	-	(10)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	61	-	-	-
გადასახდელი დივიდენდები	547	-	-	-
წინასწარ გადახდილი დივიდენდები	5	-	-	-
ოპერაციები:				
შესყიდვები	530	-	51	-
რეალიზაცია	3	-	8	-
მოკლევადიანი სარგებელი - ხელფასები	-	209	-	-
დირექტორატი (ხარჯი)				

განაწილებული დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	დამფუძნებლები	მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გროსი	-	-	18
შესაბამისი გაუფასურება	-	-	(10)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	50	-	-
გადასახდელი დივიდენდები	12	-	-
წინასწარ გადახდილი დივიდენდები	12	-	-
შესყიდვები	440	-	72
რეალიზაცია	6	-	72
მოკლევადიანი სარგებელი - ხელფასები	-	200	-
დირექტორატი (ხარჯი)			

15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

15.1 მნიშვნელოვანი სასამართლო დავა კონტრაგენტთან. კომპანიას თავის კონტრაგენტთან აქვს მნიშვნელოვანი სადავო ურთიერთმოთხოვნები. ეს ურთიერთმოთხოვნები განიხილება პირველი ინსტანციით სხვადასხვა სასამართლოების მიერ 2019 წლიდან. კონტრაგენტის მოთხოვნის მონეტარული სიდიდე აჭარბებს რამოდენიმე ასეულ ათას ლარს. კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის ამ პროცესიდან რაიმე სახის უარყოფით შედეგებს, შესაბამისად ანარიცხი ან რაიმე სახის აქტივის გაუფასურება არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

15.2 სხვა სამართლებრივი პროცედურები. კომპანიის წინააღმდეგ აღძრულია და მომავალშიც შესაძლოა აღძრას სხვა სამოქალაქო სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებება კომპანიას ამ სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

15.3 საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, შესაძლოა შევითხვები გაუზრდეთ შესაბამის საგადასახადო ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა განსხვავებულ მიდგომას იყენებენ

კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. შედეგად, შესაძლოა კომპანიას დამატებით დაერიცხოს გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღება კომპანიას ამ პროცესებიდან გამომდინარე და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

16. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ, არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 20 ივნისს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“-ს

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანია და მისი დამუშნებლები

საფირმო სახელწოდება: შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 204876081

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 5/4-140; 10/11/1995

მარეგისტრირებული ორგანო: ვაკის რაიონის სასამართლო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი, №2

დამატებითი ინფორმაცია: ელ. ფოსტა: info@cgc.ge

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა: დირექტორი

პარტნიორები:

2022 წლის 31 დეკემბრისათვის

- 205267423, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სისტემ-ნეტი 87%;
- 094073526, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯენერი 13%

2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა

შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორს საქართველოში. მისი დაფარვის ზონებია: ქ. რუსთავი და მის მიმდებარედ არსებული სოფლები; ქ. გარდაბანი. კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს. კომპანიის მიზანია უზრუნველყოს მომხმარებელი თანამედროვე, სწრაფი და ხარისხიანი სატელეკომუნიკაციო კავშირებით და შესთავაზოს მათ მრავალფეროვანი სერვისები და მომსახურების მაღალი ხარისხი.

კომპანიის ფუნქციონირების მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული აქტებია:

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ.

დღეისათვის კომპანიის მართვის სტრუქტურა მოიცავს დირექტორს და დირექტორის მოადგილეებს: ფინანსურ, ტექნიკურ, სამშენებლო და კომერციულ საკითხებში. კომპანიაში დასაქმებულია 80 თანამშრომელი.

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები, იგი საქმიანობას ახორციელებს სერვისცენტრისა და ქოლ ცენტრის მეშვეობით, რომელთაც ხელმძღვანელობენ მენეჯერები.

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია რაიმე საკუთარი წილების შეძენა.


შემოსავლის სახეები:

1.1 ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე გამოიყენებოდა სადენიანი, უსადენო და VoIP (ხმოვანი კავშირი IP პროტოკოლით) ტექნოლოგიები. 2022 წლის მონაცემებით, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე სულ 28 კომპანია ოპერირებდა. მათ შორის შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ რომლის ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 2022 წლის ბოლოს 6 935 აბონენტი შეადგინა. 2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 17.3%-ით, 1454 აბონენტით შემცირდა. ფიქსირებული ტელეფონიის აბონენტების, შესაბამისად - შემოსავლებისა და


ტრაფიკის შემცირება, მსოფლიოში არსებული ტენდენციაა, რაც უმთავრესად მობილური მომსახურებების განვითარების, ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და OTT (Over-The-Top) სერვისების მოხმარების ზრდის შედეგია.

ფიქსირებული სატელეფონო ქსელის აბონენტების რაოდენობის შემცირების და სატელეფონო სერვისების რაოდენობრივი მაჩვენებლების დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge


გრძელდება ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების გამავალი ტრაფიკის კლების ტენდენციაც.



გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

1.2 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება


საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება, გასული წლების მსგავსად, სტაბილურად მზარდი ტენდენციით ხასიათდება, როგორც აბონენტების რაოდენობის მხრივ, ასევე, შემოსავლების კუთხით. ვითარდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია და იზრდება მისი სიმკვრივე აბონენტების მთლიან რაოდენობაში.



გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

1.3 მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურება

შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია 2019 წლის ბოლომდე სთავაზობდა თავის აბონენტებს სატელევიზიო მომსახურებას კოაქსიალური ტექნოლოგიით, ხოლო 2020 წლიდან კომპანიამ სატესტო რეჟიმში გაუშვა საკუთარი IP ტელევიზია. 2022 წლის დასასრულისთვის მაუწყებლობის ტრანზიტის მიმღები სულ 12510 აბონენტი დაფიქსირდა.



გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

3. კომპანიის სტრატეგია და მიზნები

შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" მიერ 2022-2023 წელს განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევა:

- P2P ტექნოლოგიაზე აბონენტების გადაყვანა
- აიპი ტელევიზიის სრულყოფა და ოტტ ფუნქციის დამატება
- ელ. კომერციის განვითარება

2022 წლის დასაწყისში კომპანიამ შეძლო და მისი აბონენტების 90%-ზე მეტს ინტერნეტს FTTB და P2P ტექნოლოგიების გამოყენებით აწვდიდეს, რამაც საშუალება მისცა მაღალი გამტარობის ინტერნეტით უზრუნველყო მისი აბონენტები და მათთვის უახლესი თაობის ინტერნეტ დივაისები დაემონტაჟებინა.

კომპანია აქტიურად განაგრძობს P2P ტექნოლოგიებით რუსთავის ინტერნეტ ბაზრის დაფარვას და ზრდის ბაზრის წილს. 2022 წლის დასაწყისში კომპანია რუსთავის ბაზრის წილი 35%-მდე გაზარდა, რაც გაჯერებული ბაზრის ფონზე, მის მთავარ კონკურენტებთან, მაგთისთან და სილქნეტთან ერთად საკმაოდ ამბიციური მაჩვენებელია.

2022-2023 წლებში P2P ტექნოლოგიების განვითარება და აბონენტების გადართვა კვავ მთავარ სამიზნედ რჩება.

ამ მიზნის მისაღწევად, სიჯისიმ უკვე აქტიურად დაიწყო მუშაობა რუსთავის რამდენიმე მიკრორაიონის დაპროექტების მიმართულებით, ამასთან ფაქტიურად ყველა ახალი შენობა, რომელიც რუსთავში შენდება, სადაც სიჯისის ინტერნეტის შეყვანა ხდება, უკვე აღჭურვილია P2P ტექნოლოგიის ინტერნეტით. კომპანიის საბოლოო მიზანს წარმოადგენს, მისი აბონენტების სრული ბაზა ყავდეს აღნიშნულ ტექნოლოგიაზე.

სიჯისი, ასევე აქტიურად აწვითარებს 2019 წელს გაშვებულ საკუთარ აიპი ტვ ტექნოლოგიას. 2022 წლიდან კომპანიამ აქტიურად დაიწყო ახალი თაობის სეტ ტოპ ბოქსების აბონენტებთან ინსტალაცია, რაც მას საშუალებას აძლევს დამატებითი ფუნქციებითა და აპლიკაციებით გაამრავალფეროვნოს აიპი ტელევიზიის სერვისი. გარდა ამისა კომპანია აქტიურად მუშაობს ოტტ ტექნოლოგიის შექმნაზე, რაც გულისხმობს როგორც აიპი ტვ სერვისის აპლიკაციის შექმნას, რომელიც მორგებადი იქნება ყველა დივაისზე, ასევე არსებული სეტ ტოპ ბოქსებისთვის ფუნქციის ჩაშენებას, რაც აბონენტებს საშუალებას მისცემს კომპანიის აიპი ტელევიზიის სერვისი მიიღონ ნებისმიერ წერტილში, ნებისმიერ ინტერნეტ პროვაიდერის ინტერნეტ სერვისების გამოყენებით. ამ ფუნქციის შექმნა და განვითარება კომპანიას საშუალებას მისცემს აიპი ტელევიზიის სერვისების მიწოდებით გასცდეს რუსთავის ბაზარს და მისი აბონენტები უფრო ლოიალური გახადოს კომპანიის სერვისების მიმართ.

მესამე განსავითარებელ მიმართულებად კომპანიას არჩეული აქვს ელექტრონული კომერციის განვითარება. კომპანიამ 2020 წლის ბოლოს გაუშვა განახლებული ვებ გვერდი, რომელსაც უკვე 2021 წლის დასაწყისში შემატა კლიენტის კაბინეტის სერვისი და ონლაინ გაყიდვის ფუნქცია.

კომპანია აქტიურად ახდენს დიჯიტალ მარკეტინგის მიმართულებით ინვესტირებას, მიმართავს საკმაოდ ინტენსიურ სოც მედია აქტივობებს, რასაც წლის მეორე ნახევრიდან გუგლის მიმართულების განვითარებას დაამატებს, რაც ჯამურად კომპანიას საშუალებას მისცემს გრძელვადიან პერიოდში განავითაროს გამართული CRM ბაზა და საკუთარ აბონენტებთან დაიწყოს კასტომიზირებული კომუნიკაცია, მათი სეგმენტირება ინტერესების, საგადახდო ქცევისა და სხვა კომერციულად კომპანიისთვის საინტერესო მიმართულებით.

ჯამურად, კომპანია 2022-2023 წლებში გეგმავს ბაზრის წილის შენარჩუნებას, მათთვის თანამედროვე და ახალი ტექნოლოგიის ინტერნეტისა და აიპი ტელევიზიის სერვისების მიწოდებით, განახლებული დივაისებით მისი აბონენტების აღჭურვას, რათა გაიზარდოს როგორც მიწოდებული სერვისი ხარისხი, ისე არსებული კლიენტების კმაყოფილების ხარისხი.

4. კომპანიის რისკები

რისკი ახლავს ყველა სახის ეკონომიკურ საქმიანობას. აქტიური კონკურენციის, გაუთვალისწინებელი ბუნებრივი სტიქიების, ომების, არამდგრადი პოლიტიკური თუ სხვა სიტუაციების გამო კომპანია ყოველთვის სწევს რისკს.

საბაზრო რისკი ერთ – ერთი ყველაზე თვალშისაცემი ფინანსური რისკია. საბაზრო რისკი არის ზარალის ანაზღაურება იმ ფაქტორების გამო, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსური ბაზრების მთლიან საქმიანობაზე. საბაზრო რისკის ძირითადი წყაროებია რეცესიები, საპროცენტო განაკვეთის რყევები, პოლიტიკური არეულობა, სტიქიები და ტერაქტები. საბაზრო რისკი, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ერთდროულად მოქმედებს მთელ ბაზარზე. ამიტომ, ძნელია დაიცვა ბაზრის რისკი. გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვლილებები, საპროცენტო განაკვეთების მოულოდნელი რყევები, გეოპოლიტიკური მოვლენები ან რეცესიები ეს ყველაფერი სიტუაციაა, რომელიც იწვევს ბაზრის რისკს.

გარკვეული რისკების, ერთი შეხედვით, კლების პარალელურად, ახალი რისკები ჯერ კიდევ ჩნდება. ცვლილებები პოლიტიკურ, საქმიან და ეკონომიკურ სფეროში ახალი რისკების გაჩენას იწვევს, ამიტომ სატელეკომუნიკაციო სფერო უნდა ადაპტირდეს სწრაფად ცვალებად საბაზრო მოთხოვნებთან და ტექნოლოგიური ინოვაციების ასევე გაზრდილ ტემპებთან მიმართებაში. სატელეკომუნიკაციო სფეროს დამახასიათებელი რისკების მართვის მიზნით, საჭიროა საკუთარი ფასეულობების განახლების და გაფართოების გზების ძიება.

სფეროს დამახასიათებელი რისკები დაკავშირებულია ციფრულ ტრანსფორმაციასთან, მარეგულირებელ ვალდებულებასთან, კიბერომების ზრდასთან, მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვალებადობასთან, ინფრასტრუქტურაში განხორციელებულ ინვესტიციებთან, რომელიც მიმდინარე პერიოდშიც აქტუალურია. თუმცა, ამის პარალელურად ჩნდება ახალი რისკები. 2022 წელს დაფიქსირებული ყველაზე მნიშვნელოვანი

რისკები, რომელიც ტელეკომუნიკაციების და კავშირგაბმულობის სფეროსთვის და მათ შორის შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციისთვის რელევანტურია შემდეგია:

1. არაპროგნოზირებადი ინფლაცია
2. სავალუტო რისკი
3. ახალი ტექნოლოგიების გაჩენა
4. ლიკვიდობის რისკი
5. საკრედიტო რისკი

4.1 არაპროგნოზირებადი ინფლაცია

ბოლო დროს, საქართველოში, ინფლაცია სრულად არაპროგნოზირებად ეკონომიკურ მარკერად იქცა. 2022 წელი ეკონომიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი იყო. პანდემიური კრიზისი უპრეცედენტო მასშტაბის ომმა და ეკონომიკურმა შოკმა შეცვალა. ომის პერიოდში, განსაკუთრებით გაზაფხულის თვიდან რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან საქართველოსკენ მიგრაციული ტალღა დაიძრა, გაიზარდა ექსპორტი, ფულადი გზავნილები და ლარის კურსი გამყარდა, თუმცა პარალელურად ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 11%-მდე გაზარდა, ხოლო ინფლაცია ორნიშნა ციფრით განისაზღვრა. ყველაზე მწვავედ ფასების ზრდა სურსათს შეეხო, სადაც ფასების ზრდა 17%-ია. პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების ზრდა იწვევს კომპანიებში დასაქმებულების ანაზღაურების შესაბამისად დაბალანსების საჭიროებას, რაც იწვევს ხარჯების ზრდას, რომელსაც კომპანიები დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებით აბალანსებენ.

4.2 სავალუტო რისკი

კომპანიის ფუნქციონირებისთვის საჭირო ძირითადი მასალების და მომსახურებების შესყიდვა ხდება უცხოური კომპანიებისგან. ასევე, კომუნიკაციების სფეროს განვითარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული აპარატურის, მოწყობილობების და პროგრამების შექმნა და წარმოება დამოკიდებულია იმპორტულ კომპანიებზე. შესაბამისად უცხოური ვალუტის მაღალი ამპლიტუდით ცვლილება ეროვნულთან მიმართებაში, ზრდის პროდუქციის ღირებულებას. ძირითადი უცხოური ვალუტა, რომელთან მიმართებაშიც ხდება კომპანიისთვის საჭირო ხარჯების განხორციელება წარმოადგენს, ევროს და ა.შ.შ დოლარს.

თუ დავაკვირდებით ამ ვალუტის კურსის ცვლის სტატისტიკას, აღნიშნული სავალუტო რისკი გარდაუვალია.

ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

	დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

სავალუტო რისკებისგან დაზღვევა:

ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულების, რომელიც დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში, გალარება;

4.3 ახალი ტექნოლოგიების გაჩენის რისკი

თანამედროვე მსოფლიო ცხოვრობს უდიდესი ტექნოლოგიური ძვრების პირობებში. ახალი ტექნოლოგიების გაჩენის სიჩქარე იზრდება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, „ბლოკჩეინმა“, „მობილურმა გადახდებმა, ინტერნეტ საგნებმა, „დრუბლოვანმა სივრცეებმა“, ავტონომიურმა მანქანებმა და 5G ქსელებმა წარმოადგინეს ახალი შესაძლებლობები და რისკები ტელეკომუნიკაციებისათვის. ტექნოლოგიური ინოვაციების სიჩქარე ზრდის ზეწოლას არამარტო ისეთ კომპანიაზე როგორც ჩვენ ვართ, არამედ მსხვილ ოპერატორებზეც.

ახალი ტექნოლოგიების მოსვლისთანავე, ბიზნესმა, რომელიც ცდილობს დარჩეს შესაბამისი, უნდა გამოიყენოს თავისი გარდამქმნელი ხასიათი, რომ შექმნას ახალი შემოსავლის ნაკადები. ტექნოლოგიების ინტეგრირებას და განვითარებას შესაძლოა ხელი შეუწყოს მხოლოდ ერთეულმა კომპანიებმა, რაც ასევე, რისკია ჩვენი კომპანიისთვის.

4.4 ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის კომპანიის რისკი გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში მნიშვნელოვანი მოულოდნელი დანაკარგების გარეშე.

აღნიშნული რისკის შესამცირებლად და სამართვად კომპანია წლის დასაწყისში ადგენს წლის განმავლობაში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ბრუნვის ანგარიშს, რომლის ფაქტიური მონიტორინგი ხდება ყოველკვირეულად, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ წარმოქმნილი პრობლემები გადაიჭრას მანამ, ვიდრე ისინი სერიოზულ სირთულეებს შეუქმნიან კომპანიას.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გადაწყვეტს ბიზნეს ოპერაციების, მომსახურების პორტფელისა და პროდუქტის მუშაობის გაფართოებას, საჭირო გახდება დიდი ფულადი სახსრების მობილიზება, რასაც კომპანია გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სესხით მოაგვარებს.

4.5 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი კომპანიისთვის არის კონტრაგენტის მიერ – ძირითადად აბონენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი. ასევე ურთიერთობების ოპერატორებისგან და სხვა საბითუმო მომსახურების მიმღები მომხმარებლებისგან ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. საკრედიტო რისკისგან თავის დაცვის მიზნით, კომპანია თითქმის სრულად გადავიდა საავანსო გადახდის სისტემაზე, თუმცა აღნიშნული რისკის ხარისხობრივად მაღალი მაჩვენებელია იმ კატეგორიის აბონენტებთან მიმართებაში, ვინც მხოლოდ სატელეფონო მომსახურებით სარგებლობს და ანგარიშსწორებას ახორციელებს მომსახურების მიღების შემდეგ. თუმცა კომპანია ახდენს ამ ტიპის აბონენტების მონიტორინგს ყოველდღიურად და ხდება მათი ინფორმირება მიმდინარე დავალიანებების შესახებ.

5. კომპანიის თანამშრომლები, უსაფრთხოების და გარემოს დაცვა.

კომპანიის მართვის სტრუქტურა მოიცავს დირექტორს და დირექტორის მოადგილეებს: ფინანსურ, ტექნიკურ, სამშენებლო და კომერციულ საკითხებში. კომპანიაში დასაქმებულია 80 თანამშრომელი. მათ შორის ქალების რაოდენობა შეადგენს 33 თანამშრომელს. მამაკაცების რაოდენობის სიჭარბე აიხსნება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ კომპანიაში მაღალია ქალების რაოდენობა მენეჯერულ პოზიციებზე. ასევე, საკმაოდ მაღალია მათი რაოდენობა ქოლ.ცენტრის და აბონენტთა მომსახურების განყოფილებებში.

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ მნიშვნელოვან როლს ანიჭებს და პრიორიტეტად აქვს დასახული როგორც დასაქმებულების, ასევე აბონენტების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. კომპანია ზრუნავს მომხმარებლების უსაფრთხოებაზე და უზურუნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს. ამის მიღწევა ხდება სამუშაო პროცესების სწორად მართვით; მენეჯმენტის და დასაქმებულების ურთიერთთანამშრომლობით. კომპანიის მენეჯმენტი მიისწრაფის მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ. ამ მიზნით კომპანია ახორციელებს არაერთ პროაქტიულ ღონისძიებას და მუდმივ რეჟიმში აწარმოებს სამუშაო პროცესის მონიტორინგსა და კონტროლს. ეს მიდგომა ხელს უწყობს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. კომპანიის მენეჯმენტი ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი და სხვა შესაბამისი რეგულაციები.

გარემოს დაცვა მთელ მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა, რადგან დღეს, ყველა შეგნებულ ადამიანს გააზრებული აქვს ის, რომ სუფთა გარემო, ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის ჯანსაღი მომავალია! შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ ხელს უწყობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებას თავის თანამშრომლებში, რათა მათ გააკეთონ სწორი არჩევანი და მონაწილეობა მიიღონ გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საქმეში. გარემოსდაცვითი განათლება მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის, ვინაიდან ის აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს.

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ ახორციელებს თავის ეკონომიკურ საქმიანობას გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით.

6. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ სჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ.

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ მმართველობითი ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გენერალური დირექტორი

ნანა შარაშენიძე, _____

20 ივნისი 2023 წელი

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ მმართველობითი ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გენერალური დირექტორი

ნანა შარაშენიძე,

20 ივნისი 2023 წელი

ნანა შარაშენიძე

